საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 975

ქ. თბილისი

„13" 09 2006 წ.

შპს „ზიმო-7"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ

„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ" საქართველოს კანონის 24 მუხლის, მე-4 პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის, 1 სექტემბრის №154 დადგენილებით დამტკიცებული „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის წესისა და პირობების შესახებ" დებულების მე-2 და მე-3 მუხლის 1 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს შპს „ზიმო-7"-ზე გარემოზე ზემოქმედების ნებართვა – ასფალტობეტონის ქარხნის
2. ნებართვის მფლობელმა უზრუნველყოს სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული სანებართვო პირობების შესრულება;
3. ეს ბრძანება დაუყონებლივ გაეგზავნოს ნებართვის მფლობელს
4. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს მთავრობაში (ქ. თბილისი, ინგოროყვას ქუჩა) ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. ფბილისი, სარაჯიშვილის ქ. №1) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №72; 01.09.06წ. და ლიცენზიებისა და ნებ[illegible] [illegible] არაკეთილსინდისიერი [illegible]

ბუნებრივი რესურსების დაცვის გარემოს ბ ბ ბ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND NATURAL RESOURCES OF GEORGIA
ლიცენზიებისა და ნებართვების დეპარტამენტი
DEPARTMENT OF LICENSES AND PERTMITS

საქართველო, 0114, თბილისი, გულუას ქნა.; ტელ: 72 17 48, ფაქსი: 72 17 48, E-mail:ecoegzam@caucasus.net

ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ
ლიცენზიებისა და ნებართვების
დეპარტამენტის უფროსი

ირაკლი კვაშილავა
(სახელი, გვარი)

(ხელმოწერა)

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის

დასკვნა პროექტზე

№ ___72___

_01_ ____09____ 2006 წ.

I. საერთო მონაცემები

1. პროექტის დასახელება – ასფალტო-ბეტონის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
2. ინვესტორის დასახელება და მისამართი – შპს „ზიმო-7“
   ქ. ბათუმი, ხახულის ქ. №35
3. განხორციელების ადგილი – ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოს სამრეწველო ზონა
4. განაცხადის შემოსვლის თარიღი - 14.08.06
5. მონაცემები პროექტის შემდგენელის შესახებ – შპს „ეკოლცენტრი“

II. ძირითადი საპროექტო გადაწყვეტილებანი

გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე განსახილველად წარმოდგენილია შპს „ზიმო-7"-ს ასფალტ-ბეტონის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტი, რომელიც შეადგინა შპს „ეკოლცენტრი"-მ.

ასფალტ-ბეტონის ქარხანა მდებარეობს ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოს სამრეწველო ზონაში. საქმიანობის მიზანს წარმოადგენს წლის განმავლობაში 374 400 ტონა ასფალტბეტონის ნარევის და 80 000მ^3 ქვიშისა და ღორღის წარმოება.

წარმოდგენილ დოკუმენტაციაში განხილულია საწარმოს ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების მოსალოდნელი შედეგების რაოდენობრივი და თვისობრივი მახასიათებლები. აღწერილია ხელვაჩაურის რაიონის ადგილმდებარეობის ჰიდრომეტეოროლოგიური და კლიმატური პირობები, აგრეთვე გეოლოგიური და სეისმური პირობები, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების მდგომარეობა, რადიაციული ფონის შეფასება, ხმაური, ულტრაბგერები. განხილულია საწარმოო ობიექტის განთავსების ადგილის შერჩევის კრიტერიუმები და ალტერნატიული ვარიანტები და განხორციელებულია ზეგავლენის წყაროების, სახეებისა და ობიექტების დადგენა.

პროექტის მიხედვით შპს „ზიმო-7"-ს მიერ ასფალტბეტონის წარმოებისთვის გამოყენებულია ფირმა „LINTEC"-ის CSD 1500/4 ტიპის დანადგარი – წარმადობით 120 ტ/სთ. აღნიშნულ დანადგარში გამოიყენება სახელოებიანი ფილტრი, რომლის ფართობი ტოლია 380მ2. ფილტრში სახელოების რაოდენობა ტოლია 234-ის. გარდა ამისა საწარმოს ტერიტორიაზე გათვალისწინებულია ინერტული მასალების გადასამუშავებელი ერთი ცალი სამსხვრევ-დამხარისხებელი დანადგარი (CM– 741), წარმადობით 140ტ/სთ, სადაც ინერტული მასალების დამუშავება მოხდება სველი მეთოდით. საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მოიცავს რეცირკულირების სისტემას, ამის გამო ადგილი არ `ექნება ნარჩენების დაგროვებას. ბიტუმის გასაცხელებლად გამოიყენება დიზელის საწვავი და ბუნებრივი აირი.

გამომდინარე პროექტიდან, საწარმოს წყალმომარაგება განხორციელდება ჭოროხის წყალსადენის არსებული ქსელიდან. სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლების ჩაშვება გათვალისწინებულია ამოსაწმენდ ორმოებში და თხევადი ნარჩენების გატანა ხდება საასენიზაციო მანქანით. ტექნოლოგიურ ციკლში წარმოშობილი დაბინძურებული წყლების გაწმენდისათვის საწარმოს ტერიტორიაზე აშენებულია მექანიკური გამწმენდი ნაგებობა 2000მ^3/დღ წარმადობით. სალექარებში გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება ჭოროხში.

ანგარიშში მნიშვნელოვანი ყურადღება აქვს დათმობილი ავარიული სიტუაციების საკითხებს: აღწერილია მათი გამომწვევი მიზეზები და შესაბამისი ღონისძიებათა ჩამონათვალი. საწარმოო ობიექტის ნორმალური ფუნქციონირებისათვის გათვალისწინებულია ხანძარსაწინააღმდეგო, წყალმომარაგების და ელექტრომომარაგების უსაფრთხოების ღონისძიებები.

საწარმოს სანიტარულ-დამცავი ზონა შეადგენს 500მ-ს.

ექსპერტიზის პროცესში დამოუკიდებელი ექსპერტების მიერ გამოთქმული შენიშვნები საფუძვლად უდევს წინამდებარე დასკვნას.

III. შენიშვნები

1. დაიგეგმოს და განხორციელდეს საწარმოო ნაგებობების გარშემო გამწვანების ზონების შექმნა;
2. მოხდეს მომსახურე პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება;
3. დაცული იქნეს სანიტარული დაცვის ზონა, რომელიც აღნიშნული ტიპის საწარმოსათვის შეადგენს 300-500მ-ს.

IV. დამატებითი პირობები

1. ობიექტის ექსპლუატაციაში გაშვების მზადყოფნასთან დაკავშირებით შექმნილი მიმღები კომისიის შემადგენლობაში გათვალისწინებული იქნას საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს წარმომადგენლის მონაწილეობა;

2. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

V. დასკვნა

შპს „ზიმო-7“-ს მიერ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მიღების მიზნით სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარმოდგენილი „ასფალტო-ბეტონის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის“ პროექტის მიხედვით საქმიანობის განხორციელება შესაძლებელია წინამდებარე დასკვნის III თავში მოყვანილი შენიშვნების გათვალისწინების შემთხვევაში.

სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის
საექსპერტო კომისიის თავმჯდომარე: ი. ბერანიძე — ი. მემანიშვილი

(სახელი, გვარი, ხელმოწერა)

საქართველოს გარემოს დაცვისა
და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა № 00037

კოდი M D 1 „06" „X" 2006 წ.

1. ნებართვის მიმღები სუბიექტი	შპს „ზიმო-7"
2. საქმიანობის მიზანი	ასფალტ - ბეტონის წარმოება
3. განსახორციელებელი საქმიანობის ადგილმდებარეობა	ხელვაჩაურის რაიონის სოფ. გონიოს სამრეწველო ზონა
4. [illegible] ორგანიზაცია	[illegible]
5. ნებართვის მისაღებად წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
6. ნებართვის გაცემის საფუძველი	სახელმწიფო ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №72; 01.09.06
7. ნებართვის პირობები	ნებართვა მოქმედებს დასკვნით გათვა[illegible] ლისწინებული პირობების შესრულების პირობ[illegible]

გარემოზე ზემოქმედების ნებართვა გაცემულია:

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ

საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს უფლებამოსილი წარმომადგენელი (გვარი, სახელი, თანამდებობა) — ლიცენზირების და ნებართვების დეპარტამენტის უფროსი

[illegible]

204861943

დამკვეთი: გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
დამამზადებელი: შპს „ფინანსები"
ს.თ.ს. რეგისტრაციის №2-0360

გარემოსდაცვითი ნებართვის პირობები
შპს „ზიმო-7“-ს მიერ წარმოდგენილი ასფალტო-ბეტონის ქარხნის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის პროექტზე

1. დამუშავდეს და დამტკიცდეს მონიტორინგის/თვითმონიტორინგის კონკრეტული გეგმა მასზე პასუხისმგებელი იურიდიული ან/და ფიზიკური პირების მითითებით;
2. დაიგეგმოს და განხორციელდეს საწარმოო ნაგებობების გარშემო გამწვანების ზონების შექმნა;
3. მოხდეს მომსახურე პერსონალის ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით მომარაგება;
4. დაცული იქნეს სანიტარული დაცვის ზონა, რომელიც აღნიშნული ტიპის საწარმოსათვის შეადგენს 300-500მ-ს;
5. პროექტით გათვალისწინებული სამუშაოების მიმდინარეობისა და დასკვნაში მოყვანილი შენიშვნების შესრულების შესახებ, წარდგენილ იქნას ანგარიში გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
6. საქმიანობის დაწყებამდე გათვალისწინებული იქნეს წინამდებარე დასკვნის 1,2,3, 4 და 5 შენიშვნა.